ოქმი N 4

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 27 თებერვალი 2023 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. აკაკი ხურცილავა
3. გიორგი გვასალია
4. გივი ლატარია
5. ლელა ადანაია
6. მზია ლემონჯარია
7. მაკა ჩარტია
8. ია ჯიშკარიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ი. ჯიშკარიანის 2023 წლის 27 თებერვლის N51-51230583 განცხადების განხილვა. (საკრებულოს კომისიებში ცვლილების თაობაზე);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ი. ჯიშკარიანის 2023 წლის 27 თებერვლის N51-51230583 განცხადების განხილვა. (საკრებულოს კომისიებში ცვლილების თაობაზე);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობი"-ს თავმჯდომარის ი. ჯიშკარიანის მიერ წარმოდგენილ იქნა კომისიებში ცვლილებები, კერძოდ: საკრებულოს წევრი ლევან ლაშხია გაწვეულია საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან. საკრებულოს წევრი ბესიკი თამლიანი ფრაქციის მიერ წარდგენილია საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის და საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობაში, ხოლო საკრებულოს წევრი ნინო ბოკუჩავა წარდგენილია ფრაქციის მიერ საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობაში.

ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: **8** ; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"; განმარტებით ბარათთან ერთად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი